

## მცირე ქვეყნების ეკონომიკის განვითარების ტენდენციები

### მიხეილ თოქაიაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო

**საკვანძო სიტყვები:** მცირე ქვეყნები, კომპარატიული ანალიზი, ევროკავშირი, ევრაზიული კავშირი

მცირე ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური პრობლემები სხვადასხვა ხასიათისაა და განსხვავებულად რეგულირდება, რაც შესაბამისად აისახება სავაჭრო ურთიერთობებზე. მათი ყველაზე დიდი პრობლემაა დიდ ქვეყნებთან სავაჭრო უპირატესობების და სავალუტო ურთიერთობების შემოქმედების მექანიზმების ეფექტიანი რეალიზაცია. მცირე ქვეყნებს არ გააჩნიათ ის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს მათ კონკურენტულ უპირატესობას დიდ ქვეყნებთან ვაჭრობისას. მასშტაბის ეკონომიით მიღებული უპირატესობა ან გაცვლითი კურსით მანიპულაცია არ იძლევა მნიშვნელოვან შედეგებს. დიდი ქვეყნების სავაჭრო და სავალუტო ზონებში მიერთება და გაერთიანება კი პოზიტიურ შედეგებთან ერთად საფრთხეებსაც შეიცავს.

**მცირე ქვეყნების კლასიფიკაცია.** მცირე ქვეყნებს შორისაა როგორც ტრანსფორმირებადი, გარდამავალი პერიოდის ქვეყნები, ასევე მაღალგანვითარებული კლასიკური კაპიტალიზმის მქონე ქვეყნები.

მათ კლასიფიკაციას აქვს შედარებითი ხასიათი. მისი კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმებია ტერიტორიის ფართობი და მოსახლეობის რაოდენობა. მსოფლიო ბანკი მცირე ქვეყნებად მიიჩვევს იმ ქვეყნებს, სადაც მოსახლეობა 1.5 მილიონზე ნაკლებია. ასეთი ქვეყნები მსოფლიო ქვეყნების მეოთხედს შეადგენს. მათი ძირითადი გამოწვევებია ეკონომიკური შოკებისადმი მოწყვლადობა (რამდენადაც ისინი დამოკიდებულნი არიან სავაჭრო ბაზრებზე). მათი ეკონომიკა არ არის მდგრადი, აქვს შეზღუდული შესაძლებლობები და ხელმისაწვდომობა მსოფლიოს კაპიტალის ბაზრებისადმი. აქვთ დაბალი კონკურენტუნარიანობა და მაღალი მოწყვლადობა კლიმატური ცვლილებებისადმი (მსოფლიო ბანკი).

ევრაზიის კონტინენტზე, რამდენადაც მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ზოგიერთ მცირე ქვეყანას აქვს უფრო დიდი ტერიტორია (განსაკუთრებით ჩრდილოეთის კონტინენტზე გრენლანდიას, ფარერის კუნძულებს, შვეციას, ნორვეგიას, ფინეთს და სხვ.), ვიდრე დიდ ქვეყნებს, ამიტომ მიზანშეწონილია განსხვავებული კრიტერიუმის გამოყენება. მაგალითად, მცირე ქვეყნებად მივიჩნით ისეთი ქვეყნები, რომელთა მოსახლეობაც 10 მლნ-ზე ნაკლებია და მათი ტერიტორია მოიცავს დაახლოებით 100 ათას კვ. კილომეტრს. მათ სიაში შედის ჯუჯა ქვეყნებიც, სადაც ცხოვრობს ნახევარმილიონზე ნაკლები მოსახლეობა და ტერიტორია 1 ათასი კვ. კილომეტრია (ანდორა, ვატიკანი, გიბრალტარი, ლიხტენშტეინი, მონაკო, სან მარინო და სხვ.). ამ ქვეყნების სახელმწიფოებრივი მოწყობა თავისებურია: სახელმწიფოს

შემოსავლები დამოკიდებულია მხოლოდ გადასახადებზე და ეკონომიკური განვითარების ძირითადი სფეროებია ფინანსური ინსტიტუტები, მომსახურება და ტურიზმი.

ევრაზიის მცირე ქვეყნებს განსახვავებული ისტორიული გამოცდილება გააჩნიათ. მათგან ნაწილს კომუნისტური წარსული აქვთ და რუსეთთან ინტეგრირებულ ეკონომიკას წარმადგენდა, რომლებსაც წარსულში დაკარგული ჰქონდათ დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა (საქართველო, სომხეთი, მოლდოვა, აზერბაიჯანი, თურქმენეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი). ევროპის მცირე ქვეყნების მეორე ნაწილს სოციალისტური წარსული აქვთ და მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაექვემდებარნენ რუსეთის ეკონომიკას (ბულგარეთი, ხორვატია, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ალბანეთი, მაკედონია, მონტენეგრო, სერბეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა), ხოლო მესამე ნაწილი კი საბაზრო ეკონომიკის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს მიეკუთვნებოდნენ და დღესაც ინტეგრირებულნი არიან ევროპულ ბაზართან (ავსტრია, ბელგია, დანია, ფინეთი, ირლანდია, ლუქსემბურგი, მალტა, ისლანდია, შვედეთი, ისლანდია, კვიპროსი). მათი ეკონომიკა სრულიად განსხვავებულია და განვითარების განსხვავებული ციკლი ახასიათებთ.

**ეკონომიკის ზოგადი ნიშნები.** ყველა მცირე ქვეყანას აქვს თავისებურება: გააჩნიათ მრავალდარგიანი ეკონომიკის განვითარებისათვის არასაკმარისი რესურსი და მათი შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილება საკუთარი რესურსებით ძლიერ შეზღუდულია. ისინი, უფრო მეტად ვიდრე დიდ ქვეყნები, განიცდიან რეგიონალური ინტეგრაციის აუცილებლობას. მათი რესურსების დეფიციტის კომპენსირება შესაძლებელი ხდება მხოლოდ აქტიური სავაჭრო ვაჭრობით.

ინდუსტრიულად განვითარებული მცირე ქვეყნებისათვის დამახასიათებელია სტაბილური ეკონომიკა, მყარი ფინანსური პოზიციები, მდგრადი განვითარება, ცხოვრების შედარებით მაღალი დონე.

პოსტსაბჭოთა ქვეყნები მიეკუთვნებიან საშუალოზე დაბალი შემოსავლების ქვეყნებს, რომელთა ზრდის ტემპები მაღალია, პოსტსოციალისტური ევროპი ქვეყნები კი საშუალოზე მაღალ შემოსავლიან ქვეყნებს.

მცირე ქვეყნების ეკონომიკის თავისებურებები ვლინდება მათი მთლიანი ეროვნული პროდუქტის წარმოებაში. შესაბამისად, ამ ნიშნით კლასიფიკაციაც ნათელს ხდის მათი განვითარების დონეს.

პოსტსაბჭოთა ქვეყნები ნახევრად თავისუფალი ქვეყნების რიგს მიეკუთვნებიან (Freedom in the World

201). ამ ქვეყნებში სახელმწიფოს ფინანსური კონტროლი და რეგულირება საკმაოდ დიდია, არსებობს ინფლაციის მაღალი დონე, საკრედიტო ინსტიტუტების დაბალი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში, განუვითარებელი საფონდო ბირჟები და დაბალი დანაზოგები. ფინანსური მდგრადობა ბევრად არის დამოკიდებული ფინანსურ ნაკადებზე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, მათ შორის ექსპორტზე და პირდაპირ ინვესტიციებზე. სახელმწიფოს საგარეო ვალიც მაღალია, რომელიც უცხოურ ვალუტაშია აღებული.

საგარეო ვაჭრობის როლი განსაკუთრებით დიდია ყველა მცირე ქვეყანაში, მიუხედავად მისი განვითარების დონისა. ევროპის ინდუსტრიულად განვითარებული და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მცირე ქვეყნების ექსპორტის წილი ამ ქვეყნების მთლიან შიდა პროდუქტში 2.2 ჯერ აღემატება მთელი მსოფლიოს ანალოგიურ მაჩვენებელს.

მცირე ქვეყნებში საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება ძირითადად იმპორტის ხარჯზე, თუმცა ინდუსტრიულად განვითარებული მცირე ქვეყნები აწარმოებენ ისეთ პროდუქციას, რომლის მასშტაბიც აღემატება საკუთარი ბაზრის მოთხოვნებს და ქვეყნის საგადასხდელო ბალანსის უზრუნველყოფაში მათი ექსპორტის წილი მშპ-ში აღემატება 60 პროცენტს.

ამ ქვეყნებში ექსპორტის მაღალი წილი განპირობებულია ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალითა და განვითარებული ინფრასტრუქტურით. ეს ქმნის ღრმა სპეციალიზაციის კარგ პირობებს და ხელს უწყობს მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარებას, რომელიც ძირითადად უცხოურ ბაზრებზეა ორიენტირებული. მცირე ქვეყნებში საექსპორტო პრეფერენციები ქმნის ეკონომიკური მიზიდულობის ძალას და მსხვილ ბაზრებთან რეგიონალური ინტეგრაციის კარგ პირობას.

საგარეო ვაჭრობაზე დამოკიდებულება ქმნის რეგიონალურ კონიუნქტურაზე დამოკიდებულების დიდ რისკებს. ეკონომიკური განვითარების ციკლები რეფლექსურად აისახება მათ ეკონომიკურ ზრდაზე. ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს, განსხვავებით დაბალგანვითარებული ქვეყნებისაგან, აქვთ აქტიური საგადასახდელო ბალანსი.

მცირე ქვეყნების უმრავლესობას აქვს ხანგრძლივი ქრონიკური პრობლემები. ისინი ცდილობენ იპოვნონ გამოსავალი იმისათვის, რომ გაზარდონ მასშტაბის ეკონომია, განსაკუთრებით საექსპორტო დარგებში. ამ მიზნით მაღალია მოთხოვნა სახელმწიფო ფინანსებისა და მომსახურების გაზრდაზე, რის შედეგადაც მგრძობიარე ხდება სახელმწიფო ფინანსების როლი მაკროეკონომიკურ განვითარებაში. დიდია საბიუჯეტო შეზღუდვების ზემოქმედება ინფლაციასა და საგადასხდელო ბალანსზე. ეს კი წარმოშობს სახელმწიფო ვალისადმი მიდრეკილებას, რაც უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკის ზრდაზე.

მასშტაბის ეკონომიისათვის შეზღუდული რესურსები აბრკოლებს მათი საგარეო ვაჭრობის დივერსიფიკაციის შესაძლებლობებს, ზრდის ვაჭრობის დანახარჯებს და

მოწყვლადობას ეკონომიკური და სავალუტო-საფინანსო შოკებისადმი. საგარეო ვაჭრობისას ისინი წარმოდგენილი არიან ცალკეული სასაქონლო ჯგუფებით, რომლებიც სპეციფიკურია ამ ქვეყნებისათვის.

დაბალგანვითარებულ მცირე ქვეყნებს აქვს ფინანსური შეზღუდულობის პრობლემები. დაბალი ეროვნული დანაზოგების შედეგად ისინი დამოკიდებულნი არიან გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე და ტრანსფერებზე. მათი ეკონომიკური ციკლები მჭიდროდ უკავშირდება მსოფლიო ბაზრების კონიუნქტურას და აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები საკუთარი რესურსებით უზრუნველყონ ეკონომიკური და ფინანსური მდგრადობა.

**ეკონომიკური ციკლების თავისებურებები.** უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ეკონომიკური ციკლების პერიოდში ინდუსტრიულად განვითარებული ევროპის მცირე ქვეყნებში წარმოების შემცირება, ისევე როგორ ზრდის საშუალო წლიური ტემპები, აღმოჩნდა უფრო დაბალი, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ხოლო აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის პოსტსოციალისტურ მცირე ქვეყნებში ყველაზე მაღალი იყო დაცემის საშუალო მაჩვენებელი, ეკონომიკის დაცემის სიხშირე და მათი ხანგრძლიობაც. ამ ქვეყნების ინტეგრაცია ევროპულ ბაზრებზე ხდებოდა უფრო მტკივნეულად, ვიდრე პოსტსაბჭოთა მცირე ქვეყნების დამკვიდრება-რეორგანიზება (რეზილენცი) ტრადიციულ პოსტსაბჭოთა ბაზრებზე.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში მდგომარეობა შეიცვალა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების ზრდის ტემპებმა გადააჭარბეს ევროპის მცირე ქვეყნების ზრდის ტემპებს. ამის შედეგად, თუ 2000 წელს ევროპის პოსტსოციალისტური ქვეყნების მშპ ერთ სულ მოსახლეზე აღემატებოდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაჩვენებელს 4-ჯერ, 2014 წელს იგი შემცირდა და შეადგინა 2.5, ხოლო თუ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს ჩამორჩებოდა 10-ჯერ, ეს მაჩვენებელი შემცირდა 2-ჯერ.

დღეს ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ეკონომიკა კვლავ ჩამორჩება ცენტრალური ევროპის ქვეყნების განვითარებას, თუმცა შემოსავლებით თანდათანობით უახლოვდება მას. ორივე ჯგუფის ქვეყნისათვის, დღემდე შეთავაზებული ტრანსფორმაციის სხვადასხვა კონცეფციებსა და პროგრამებს შორის, ყველაზე ეფექტიანი სტიმული აღმოჩნდა ევროკავშირთან შეერთების მოტივაცია, რომელმაც საბოლოო მიზნები დაუსახა იმ ქვეყნებს, ვინც ასეთი ორიენტაცია აიღო. შესაბამისად, გარდამავალი პერიოდის თანდათანობით წარსულს ჩაბარდა და გეზი აღებულია ევროკავშირის გაერთიანებასა და მის სამეზობლო პოლიტიკაზე. ამ ურთიერთობებში ჩაერთო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების გარკვეული ნაწილი.

ამჟამად, ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებს უწოდებენ „ახალ საბაზრო ქვეყნებს“ ან „ახლად აღმოცენებულ საბაზრო ქვეყნებს“. ამ ცნებაში გულისხმობენ კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას და საერთაშორისო ფინანსების მოქმედების შესაძლებლობას ამ ქვეყნების სივრცეში. ამ

თვალსაზრისით, გარდამავალი პერიოდის ქვეყნებისათვის ახლად აღმოცენებული საბაზრო ქვეყნების სახელწოდება სავსებით მართებულია (Silagadze A., Tokmazishvili M). აღსანიშნავია, რომ სწორედ კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებისათვის ხელისშეწყობა და ამ მიზნით შესაბამისი ფინანსური ინსტიტუტების ჩამოყალიბება გახდა ამ ქვეყნების პოლიტიკის ძირითადი ორიენტირი, რომელმაც დომინანტის როლი შეასრულა მათ დღევანდელი მდგომარეობის ჩამოყალიბებაში.

კვლავ დღის წესრიგშია საკითხი, თუ საით მიემართებიან ეს ქვეყნები. შესაბამისად, შეიცვალა დამოკიდებულება გარდამავალი ეტაპისადმი და ამ ქვეყნებს, გარდამავალი ქვეყნების ნაცვლად, უკვე დაბალგანვითარებული ქვეყნები უწოდეს, ხოლო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს კი — ახლად აღმოცენებული საბაზრო ქვეყნები. ისინი ამჟამად ევროკავშირის წევრი და კანდიდატი ქვეყნები არიან.

ამდენად, მიდგომა შეიცვალა იმისდა მიხედვით, პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა სხვა ქვეყნების განვითარებისაგან, თუ რა განსხვავებული თვისებები შეიძინეს. ქვეყნების დიფერენციაცია განხორციელდა იმისდა მიუხედავად, რომ ყველა ამ ქვეყანას საბაზრო ტრანსფორმაციის სასტარტო ეტაპზე ჰქონდათ საერთო ინსტიტუციონალური ბაზა სახელმწიფო ეკონომიკის სახით.

### ინსტიტუციური განვითარების მიმართულებები.

დღეს რეგიონალური ინტეგრაცია მცირე ქვეყნების ეკონომიკის წინსვლის უალტერნატივო მიმართულება გახდა და ლიბერალიზაცია და მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირება ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმთავრეს სტიმულადაა აღიარებული.

ევროპის ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების ძირითადი მიმართულებაა ინტეგრაციის გაღრმავება და რეგიონალური კონკურენტუნარიანობის გაზრდა. ევროკავშირის ინსტიტუციური განვითარება სამეწარმეო სფეროში ორ ძირითად პიარზეა აგებული: ქვეყნების მარეგულირებელი კანონმდებლობების ჰარმონიზაციასა და უსაფრთხო მაკროეკონომიკური გარემოს ფორმირებაზე სოლიდარული ფინანსური სისტემის და ერთიანი სავალუტო სივრცის ფორმირებით. რეგიონალური ინტეგრაცია მნიშვნელოვანი ხდება ასევე ევროპის მეზობელი ქვეყნებისათვის ახალ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის, ბაზრების გაფართოების და სხვა თვალსაზრისით. ყოველივე ეს კი მაკროეკონომიკური ჰარმონიზაციასაც გულისხმობს, თუმცა ამ მიმართულებით პრობლემები საკმაოდ დიდია, რამდენადაც რეგიონალური ქვეყნები იზოლირებულად ანვითარებენ შიდა პოლიტიკას, რომლის შედეგიცაა სავალუტო ციკლების განსხვავებული სიჩქარე, სიხშირე და ეკონომიკაზე ზემოქმედების შედეგები.

ევროპისა და აზიის ტრანსფორმაციული მცირე ქვეყნები დადგნენ ალტერნატივის წინაშე, თუ რომელი რეგიონალური ინტეგრაცია იქნებოდა მათთვის მიზანშეწონილი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა კავკასიის

პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის. აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებმა ვარშავის პაქტიდან თავის დაღწევის შემდეგ ევროპული გზა აირჩიეს. ამ გზას ფაქტობრივად ალტერნატივა არ ჰქონდა. პოსტსოციალისტური ქვეყნები კი სერიოზულ ბარიერებს წააწყდნენ და თავდაპირველად უალტერნატივოდ რუსეთის მიერ ინიცირებული თანამეგობრობის კავშირის წევრები გახდნენ იმისათვის, რომ ესარგებლათ თავისუფალი ვაჭრობის სივრცით, თუმცა რამდენადაც ეს გზა ფორმალური აღმოჩნდა და რეალური ეფექტი არ მიუცია მათთვის, რუსეთის, ყაზახეთის და ბელარუსის მიერ ინიცირებული ევრაზიული კავშირი შეიქმნა, რომლის წევრები გახდნენ სომხეთი და ყირგიზეთი (2014 წ.), ხოლო საქართველომ და მოლდოვამ ევროპული გზა აირჩია და დადეს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება (2015 წელი), რომლის შემადგენელი ნაწილიც იყო თავისუფალი ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბება ევროკავშირის ქვეყნებთან.

შესაბამისად ეკონომიკურ და ინსტიტუციურ განვითარებასთან ერთად სულ უფრო რთულდება რეგიონული ინტეგრაცია გეოგრაფიული ნიშნით. სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები შეზღუდულია ქვეყნებს შორის არსებული პოლიტიკური და ინსტიტუციური გაუცხოებითა და სეპარატისტული ტერიტორიების არსებობით. საქართველოს, აზერბაიჯანის, მოლდოვას, სომხეთის ეკონომიკური ბარიერები შექმნილია ძირითადად ეთნო-პოლიტიკური წინააღმდეგობებისა და დაპირისპირებული პოლიტიკური ვექტორების გამო. ამან კი გეოპოლიტიკური კონფლიქტური ტერიტორიები წარმოქმნა.

საქართველოს და მოლდოვას რეგიონული იდენტობა დაკავშირებული გახდა ინტეგრაციის მიმართულებებთან ევროკავშირთან და ურთიერთობებთან მეზობელ ქვეყნებთან. ამ ქვეყნებში კონფლიქტური ტერიტორიების არენა და მათი წინააღმდეგობები რუსეთთან მეტყველებს მათი სოციალური და ტერიტორიული განვითარების რთულ ხასიათზე. საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებს, რომელსაც პოსტსაბჭოთა ქვეყნები აწარმოებენ, არ გააჩნია საერთო მიზნები და ღირებულებები რეგიონში ერთიანი ეკონომიკური სტრატეგიის გლობალიზაციის კონტექსტში. იქმნება „რეგიონული ანარქიული საზოგადოება“. (Björn Hettne). იგი წარმოადგენს განვითარების ვექტორების წინააღმდეგობას, რომელიც აბრკოლებს ინტეგრაციის პროცესებს.

**დასკვნა.** ყველა მცირე ქვეყანას გააჩნია მრავალდარგიანი ეკონომიკის განვითარებისათვის არასაკმარისი რესურსი და მათი შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილება საკუთარი რესურსებით ძლიერ შეზღუდულია. ისინი, უფრო მეტად ვიდრე დიდ ქვეყნები, განიცდიან რეგიონალური შესაძლებელი ინტეგრაციის აუცილებლობას. მათი რესურსების დეფიციტის გადაჭრა ხდება მხოლოდ აქტიური საგარეო ვაჭრობით. საგარეო ვაჭრობაზე დამოკიდებულება კი ქმნის რეგიონალურ კონიუნქტურაზე დამოკიდებულების დიდ რისკებს. მათი ეკონომიკური ციკლები მჭიდროდ უკავშირდება მსოფლიო

ბაზრების კონიუნქტურას. შესაბამისად მცირე ქვეყნებში უფრო მტკივნეულად აისახება გლობალური ეკონომიკური კრიზისები. ამ მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ

ევროკავშირთან ასოცირება და ევრაზიის კავშირი (DCFTA, EAEU) გახდა ორი დაპირისპირებული ვექტორი, რომლის არჩევანის წინაშე დადგნენ პოსტკომუნისტური ქვეყნები.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Björn Hettne, Globalization, the New Regionalism and East Asia, in the: Globalism and Regionalism, Ed. by Toshiro Tanaka and Takashi Inoguchi, <http://archive.unu.edu/unupress/globalism.html>.
2. Economic Growth and Integration of Small States to the World Economy, December 8, 2005 PRMED, <http://siteresources.worldbank.org/INTDEBTDEPT/Resources/468980-1206974166266/4833916-1206989877225/SmallStatesDecember2005.pdf>.
3. Freedom in the World 2016. Freedom House. [https://freedomhouse.org/sites/default/files/FH\\_FITW\\_Report\\_2016.pdf](https://freedomhouse.org/sites/default/files/FH_FITW_Report_2016.pdf).
4. Kan Chen, Mario Crucini, (2014), Trends and Cycles in Small Open Economies: Making The Case For A General Equilibrium Approach. <https://www.frbatlanta.org/-/media/Documents/news/conferences/2014/international-economics/Crucini.pdf>
5. Silagadze A., Tokmazishvili M. Challenges of the Post-Communist Financial\_Currency policy. Monetary, fiscal and Trade Policies Series. Nova Publisher. New York.
6. The economics of small states. Big problems for little countries, Sep 10th 2014 <http://www.economist.com/blogs/freeexchange/2014/09/economics-small-states>
7. მსოფლიო ბანკი – <http://www.worldbank.org/en/country/smallstates/overview->



## TENDENCIES OF DEVELOPMENT OF ECONOMIES OF SMALL COUNTRIES

**MIKHEIL TOKMAZISHVILI**

Doctor of Economic sciences,

associated professor of Ivane Javakishvili Tbilisi State professor of Georgian University, Georgia

**KEYWORDS:** SMALL COUNTRIES, COMPARATIVE ANALYSIS, EU, EURASIAN UNION

### SUMMARY

The economic prospects of small countries are associated with the historical and political context of their institutional development, as well as with the rules of economic regulation. These countries have different historical experience and peculiar cycles of the development, which is one of the important criteria for their classification.

All small countries have insufficient resources for the development of the economic sectors. Unlike large countries, they experience acute need for regional integration, and compensation of scarcity of the resources is possible only through the development of intensive foreign trade. Dependence on foreign trade relations creates high risks of transferring of regional problems. Accordingly, small countries are painfully impacted by the global economic crises.

Comparative analysis indicates that in the last 20 years Central and Eastern European countries are more vulnera-

ble to the economic challenges, rather than the post-soviet countries. During the economic cycles production of industrialized European small countries has failed and the average annual rate of growth has declined, but reducing the economy was lower than in other countries. In the post-socialist small countries of Eastern and Central Europe declining of the average growth rate, also frequency and duration of cycles of the economy were much higher. Integration of these counties into the European markets was more painful than the process of rebuilding of post-soviet countries trade relations in the traditional historical markets.

At present the situation is complicated by the fact that the association with the EU and the Eurasian Union (DCFTA and EAEU) are two opposing vectors, which post-communist countries face to, in order to make choice for their future perspectives.